

24/06/2026



MES 9 26 0000792486

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 12 ივნისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83070355504>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:**

**ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

**ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

**ანა აროშიძე** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ხათუნა ცერცვაძე** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

**ეკატერინე გიგაშვილი** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

**გოგიტა მშვენიერაძე** – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

**სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ნია გუგუნავა** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ნინო ხელაძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ალინა კუპრავა

ეკა ბუთხუზი

თათია გივიშვილი

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი**

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსი მოვალეობის შემსრულებელი - მაკა ბერიძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - ნუნუ ჭალიაშვილი;

**სსიპ კოლეჯი მოდუსი**

სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორი - ნინო ქავთარაძე;

დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - მაია დალაქიშვილი;

დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში - დიანა გომაძე;

ხარისხის მართვის მენეჯერი - ქეთევან გურგენიშვილი;

**სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი**

კოლეჯის დირექტორი - თეიმურაზ ლორთქიფანიძე;

კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ქეთინო ბაგაური;

კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - თამარ ნეფარიძე;

**შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი**

კოლეჯის დირექტორი - გარი ჩაფიძე;

ხარისხის მართვის მენეჯერი - ნატო ესიავა.

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

1. „სსიპ – სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 27 თებერვლის N240143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. „სსიპ – კოლეჯის "მოდუსი“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის N823527 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. „სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 მარტის N341168 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხს. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 18 თებერვლის სხდომაზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით 5.1 კომპონენტთან მიმართებით (შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა). მონიტორინგის ფორმად განსაზღვრული იყო დოკუმენტაციის გამოთხოვა, მონიტორინგის თარიღად – 2026 წლის 27 აპრილი. მიმდინარე წლის 30 აპრილს, სამსახურმა დებულებით გათვალისწინებულ ვადებში გაუგზავნა დაწესებულებას წერილი N511131, წარმოსადგენი დოკუმენტების გამოთხოვასთან დაკავშირებით. დაწესებულებისგან მიღებული იქნა სიტყვიერი უკუკავშირი, რომ მოცემულ ეტაპზე ისინი არ არიან მზად მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის, ბაია კვიციანის წერილი (N540019 – 07/05/2026), რომლითაც სამინისტროს შუამდგომლობდა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დაწესებულებას მონიტორინგის ვადის გადაწევასთან დაკავშირებით. 2026 წლის 25 მაისის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა შუამდგომლობა და მიღებული გადაწყვეტილებით შეიცვალა 5.1 კომპონენტის ნაწილში მონიტორინგის თარიღი. სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენის თარიღად განისაზღვრა – 2026 წლის ივლისის ბოლომდე პერიოდი (სხდომის ოქმი N684192 – 08/06/2026).

მიმდინარე წლის 8 ივნისს, ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა წერილი N685557, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ფარგლებში ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის დადებითი აქტი №243 გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავის ლოკაციასთან მიმართებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადისთვის საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის დასრულების შესახებ.

საბჭო დაეთანხმა შუამდგომლობას ა(ა)იპ კოლეჯ განთიადისთვის საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის დასრულების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში (ს/კ: 217890192) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**პირველი საკითხი:** „სსიპ – სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 27 თებერვლის N240143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის N613549 – 22/05/2026 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ბუღალტრული აღრიცხვის" პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან.

აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები (კრედიტები):

პროგრამის სახელწოდება – **ბუღალტრული აღრიცხვა**

**პროგრამის განხორციელების ადგილი – ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. 119**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **97** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **127** კრედიტი

პროგრამის სახელწოდება – **ბუღალტრული აღრიცხვა**

**პროგრამის განხორციელების ადგილი – ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **97** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **127** კრედიტი

დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილება გავრცელდება მხოლოდ 2026 წლიდან ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე. პროგრამაზე არსებული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებული პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში ასახულია სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია სწავლების დისტანციური ფორმით განხორციელების დასაბუთება, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N240143- 27/02/2026 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ” პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 27 თებერვლის N240143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს “სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ” პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 27 თებერვლის N240143 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების N240143 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 12 ივნისი.

**მეორე საკითხი:** „სსიპ – კოლეჯის "მოდუსი“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის N823527 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

**მესამე საკითხი:** „სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 მარტის N341168 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საკითხები საბჭოს სხდომაზე გაერთიანებული სახით წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა სსიპ კოლეჯ მოდუსის N549870 – 08/05/2026 წერილი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვის" პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან.

აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები (კრედიტები):

**პროგრამის განხორციელების ადგილი – ქ. მარნეული, იალღუჯის დასახლება**

პროგრამის სახელწოდება – "ბუღალტრული აღრიცხვა"

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის კრედიტი **97** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **127** კრედიტი

**პროგრამის განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი, ქ. შარტავას გამზ. N4**

პროგრამის სახელწოდება – "ბუღალტრული აღრიცხვა"

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის კრედიტი **97** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **127** კრედიტი

დაწესებულების გადაწყვეტილებით, შეცვლილი პროგრამით სწავლება გავრცელდება სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ 2026 წლისა და შემდგომი წლების მიღებაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, ხოლო 2025 წლის მიღების შედეგად ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში ასახულია სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია სწავლების დისტანციური ფორმით განხორციელების დასაბუთება, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N341168- 20/03/2026 და N823527- 04/07/2025 (ცვლილება გადაწყვეტილებაში - N92901- 30/01/2026) გადაწყვეტილებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "სსიპ – კოლეჯის "მოდუსი“ ავტორიზაციის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის N823527 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ცვლილება განხორციელდეს “სსიპ – კოლეჯის “მოდუსი“ ავტორიზაციის შესახებ” პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის N823527 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების N823527 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 2)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 12 ივნისი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 მარტის N341168 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 მარტის N341168 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების N341168 პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 3)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 12 ივნისი.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2025 წლის 30 ივლისს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხი. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით 5.1 კომპონენტისა (ქ. თბილისი) და ასევე, პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამის: „მასაჟის თერაპია“ ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ლოკაციებთან მიმართებით 2.2 კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის თარიღად – 2025 წლის 7 ოქტომბერი (ოქმი N969785 – 11/08/2025). ამასთან, 2026 წლის 29 იანვრის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიცვალა 5.1 კომპონენტის (ქ. თბილისი) ნაწილში მონიტორინგის ფორმა და თარიღი, რომელიც დაკავშირებულია ქ. თბილისის ლოკაციაზე შენობის სახანძრო უსაფრთხოების დადებით დასკვნასთან. აღნიშნული კომპონენტის მიმართ მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტაციის გამოთხოვა, ხოლო მონიტორინგის თარიღად – 2026 წლის აპრილის ბოლო (სხდომის ოქმი N88174 – 29/01/2026). 2026 წლის 29 აპრილს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს გაეგზავნა N500951 წერილი, რომლის თანახმადაც, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა ქ. თბილისის ლოკაციაზე. მიმდინარე წლის 14 მაისს, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა წერილი №572883, რომლითაც ცენტრს აცნობა, რომ 2026 წლის 8 მაისს მიმართა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების მიზნით. ამასთან, 2026 წლის 20 მაისს კოლეჯმა ცენტრში დამატებით წარმოადგინა წერილი N598192, რომლითაც წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ფარგლებში ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის დადებითი აქტი №243.

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება ქ. თბილისის ლოკაციაზე შენობის სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის წარმოდგენას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (ს/კ: 202949159) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**მეხუთე საკითხი:** შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 19.02.2026 წლის N185968 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, დაევალოთ მიმდინარე წლის 16-18 მარტს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. №5;

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, ვიზიტამდე ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის დაწესებულების მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 16-18 მარტს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული

განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაციები.

### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

ინდიკატორი 1.1.1.3 – ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციით, უმჯობესია დაწესებულების ხედვა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კოლეჯი არის სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტობას, 2032 წლისთვის იზოზიციონირებს და ღირსეულ ადგილს დაიკავებს სამედიცინო მიმართულების კოლეჯების რეიტინგში და ერთგული იქნება ხარისხის კულტურის მიმართ.

ინდიკატორი 1.2.1.1 – ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, სასურველია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი, მათ შორის განსაზღვროს: სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ფორმირების ვადები (მაგ., პროცესის დაწყებამდე გონივრული პერიოდი); სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ეტაპები და თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა; დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები და შესაბამისი დროითი ჩარჩოები; პროექტის განხილვის, უკუკავშირის მიღებისა და დოკუმენტის საბოლოო დამტკიცების თანმიმდევრული პროცესი. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების შემუშავება განხორციელდეს თანმიმდევრულად, რაც გააუმჯობესებს დაგეგმვის ხარისხსა და მის რეალურ ეფექტიანობას.

ინდიკატორი 1.2.1.3 – ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციით, სასურველია, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები იყვნენ გაზომვადი, ანუ დაფუძნებული შესაბამის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებზე, რაც საშუალებას იძლევა აქტივობა განისაზღვროს დასრულებულად, უზრუნველყოს, ეფექტური მონიტორინგი და შეფასების სიზუსტე.

ინდიკატორი 2.2.1.2 – ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი შინაგანაწესში ან პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის რეგულირებას და შრომის კანონმდებლობის ეფექტურ დაცვას.

ინდიკატორი 3.2.1.4 – ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და რეგულაციებში მკაფიოდ გაწეროს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, მიზანშეწონილია განისაზღვროს: ინიციატივების ინიცირების პროცედურა, წარმოდგენილი წინადადებების განხილვის ვადები და პირობები, ინიციატივების შერჩევის კრიტერიუმები (მათ შორის, დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით – მაგალითად, წლის განმავლობაში მხარდაჭერილი ინიციატივების შესაძლო რაოდენობა), გადაწყვეტილების მიღების პროცესი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიციატორისთვის არგუმენტირებული უკუკავშირის მიწოდების ვალდებულება.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მისია ორიენტირებულია კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების საფუძველზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფაზე ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით. აღნიშნული მისია სრულად თავსებადია პროფესიული განათლების მიზნებთან, ვინაიდან მისი ერთ-ერთი

ძირითადი კომპონენტია კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადება როგორც რეგიონულ, ისე ქვეყნის მასშტაბით, რაც ხელს უწყობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმებადი ადამიანური კაპიტალის ფორმირებას. დაწესებულების მისიით მკაფიოდ არის განსაზღვრული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, პროფილი, მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში. კოლეჯი გეგმავს ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებაზე, შრომის ბაზარზე წარმატებულ ინტეგრაციასა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებაზე. კოლეჯის ხედვა და ღირებულებები თანხვედრაშია მისიის კონცეფციასთან. დაწესებულების ხედვის თანახმად, კოლეჯი 2032 წლისთვის უნდა გახდეს სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტობას, დაიკავებს ღირსეულ ადგილს სამედიცინო კოლეჯების რეიტინგში და იქნება ხარისხის კულტურის ერთგული. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც კოლეჯი სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს არა 2032 წლისათვის, არამედ ავტორიზაციის მიღებისთანავე, ხოლო ხედვის ფორმულირებაში 2032 წელი უნდა უკავშირდებოდეს პოზიციონირებას. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ტრანსპარენტულობას, ანგარიშვალდებულებას და სტრატეგიული მიმართულებების გააზრებას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავებაში საზოგადოებისა და პერსონალის ჩართულობა და მათი მხრიდან გაზიარების ფაქტი დადასტურდა ინტერვიუების შედეგებით, რის საფუძველზეც ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულად შეფასდა. პირველი კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის წესი, სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტებთან.

სტრატეგიული განვითარების ნაწილში აღინიშნა, რომ კოლეჯში დანერგილია დაგეგმვის ეფექტური პრაქტიკა, რომელიც რეგულირდება დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი წესით. დოკუმენტი მოიცავს 7-წლიანი სტრატეგიული და 1-წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მონიტორინგის ეტაპებს. დაგეგმვის პროცესისთვის იქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი თანამშრომლების, პარტნიორების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობით. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის სამოქმედო გეგმა და 2026-2032 წლების სტრატეგია. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რათა მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს სამუშაო ჯგუფის ფორმირების ვადები, დოკუმენტების შემუშავების ეტაპების ხანგრძლივობა, უკუკავშირის მიღებისა და დამტკიცების თანმიმდევრული პროცესი. სტრატეგიული დაგეგმვა კოლეჯში წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის, რეგიონისა და თემის პრიორიტეტებს, ეფუძნება SWOT ანალიზს ან შესაბამის კვლევებს და ორიენტირებულია მისიაში გაცხადებული მიზნების შესრულებაზე. ასევე, დაგეგმვისას კოლეჯი განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამოცანებს, განხორციელების ვადებს, საჭირო რესურსებსა და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები იყოს მეტად გაზომვადი და დაფუძნებული კონკრეტულ რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებზე ეფექტური მონიტორინგისთვის.

კოლეჯში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის ორჯერად მონიტორინგს წელიწადში და სტრატეგიული გეგმის სამნახევარწლიან შუალედურ შეფასებას. მონიტორინგის პროცესი ეხმარება დაწესებულებას პროგრესის შეფასებაში, მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებასა და თანამშრომლებისთვის ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებაში. დაწესებულება

სათანადოდ რეაგირებს შიდა და გარე შეფასების შედეგებზე: პასუხისმგებელი პირები წარადგენენ ანგარიშებს, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერი გასცემს მითითებებსა და რეკომენდაციებს აქტივობების კორექტირებისთვის. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ვინაიდან მონიტორინგის ანალიზის საფუძველზე მომზადებული საბოლოო ანგარიშები ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და ზიარდება დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ფარგლებში.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია შიდა რეგულაციებით, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებულ გარანტიებს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესები დეტალურად აწესრიგებს სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობისა და წინარე განათლების აღიარების საკითხებს. გარდა ამისა, მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესით სტუდენტებისთვის გარანტირებულია სასწავლო სივრცეებით, ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ინფრასტრუქტურით შეუფერხებელი სარგებლობა.

დაწესებულება ზრუნავს სტუდენტთა ინფორმირებულობაზე მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ, რაც პერსონალის ფუნქციონალურ მოვალეობებშიც არის ინტეგრირებული. ამასთანავე, კოლეჯის მარეგულირებელი წესით მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების სისტემა და მისი გასაჩივრების დეტალური ვადები და პროცედურები. კერძოდ, შეფასება სტუდენტს ეცნობება ხუთი დღის ვადაში, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში მას აქვს ორდღიანი ვადა საჩივრის წარსადგენად, რომელსაც მასწავლებელი განიხილავს ორი დღის ვადაში. წესი ასევე ითვალისწინებს ნაშრომის სხვა ექსპერტის მიერ გადაფასებას ან კომისიური წესით განხილვას, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება ცნობილი ხდება საჩივრის შეტანიდან ხუთ დღეში.

სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშების ანალიზით დადგინდა, რომ მხარეთა უფლება-მოვალეობები სამართლებრივად დაცულია და ხელშეკრულების სტრუქტურა სრულად ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკასა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას. კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და იმპლემენტაციის მექანიზმებს, რაც განსაკუთრებით მორგებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან მობილობით გადმოსული სტუდენტების ინტერესებზე.

სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურების კომპონენტში აღინიშნა, რომ უზრუნველყოფილია სისტემური აკადემიური კონსულტაცია, ხოლო სწავლის დაწყების მომენტიდან ადმინისტრაცია აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სივრცეების, ცხრილებისა და რეგულაციების გაცნობის გზით. დაწესებულება გონივრულ ვადებში ახორციელებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას სტატუსის მართვის, მობილობისა და დამატებითი გამოცდების მიმართულებით. არაფორმალური აქტივობების წახალისების ნაწილში, სადაც პირველად განხილვას აწარმოებს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია. რეკომენდაციის თანახმად, მიზანშეწონილია რეგულაციებში უფრო მკაფიოდ გაიწეროს ინიციატივების წარდგენის პროცედურა, განხილვის ვადები, შერჩევის კრიტერიუმები კოლეჯის რესურსების გათვალისწინებით და უარყოფითი პასუხის შემთხვევაში არგუმენტირებული უკუკავშირის მიწოდების ვალდებულება, თუმცა აღნიშნული შენიშვნის მიუხედავად, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულად ჩაითვა. კოლეჯში ასევე დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შემუშავებულია სპეციალური კითხვარები, რაც ხარისხის მენეჯერს საშუალებას აძლევს პერიოდულად გამოკითხოს სტუდენტები და კვლევის ანალიზი გამოიყენოს მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის. კარიერული მხარდაჭერის მომსახურების მიმართულებით

დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის ეფექტური მეთოდოლოგია და პროფესიული ორიენტაციის წესი.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა და სამტატო ნუსხა სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. კოლეჯის მართვის სისტემა მოიცავს ყველა საჭირო ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციას, დაწყებული დამფუძნებლისა და დირექტორის ფუნქციებიდან, დამთავრებული ვიწროპროფილური სპეციალისტებით, როგორცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სტრუქტურაში მკაფიოდ არის დაცული იერარქიული დაქვემდებარება, ხოლო დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები გამორიცხავს ფუნქციათა დუბლირებას და ხელს უწყობს საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად.

სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება პირდაპირ არის მიმართული კოლეჯის ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. დადგენილია უშუალო დაქვემდებარების მკაფიო სისტემა, სადაც სასწავლო პროცესის მენეჯერს უშუალოდ უკავშირდებიან პროგრამის ხელმძღვანელი და ბიბლიოთეკარი, ხოლო ლოჯისტიკის მენეჯერი კოორდინაციას უწევს ექთნის, დიასახლისის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და დაცვის თანამშრომლის საქმიანობას. პერსონალისთვის დელეგირებული ფუნქციები სრულ თანხვედრაშია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილ აქტივობებთან. ამასთანავე, ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები, რომლებიც მოიცავს პროცესების მონიტორინგს, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას, ვერიფიკაციისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადების კოორდინაციას, მკაფიოდ არის გამიჯნული სხვა პოზიციებისგან. პერსონალთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ აღნიშნული გამიჯვნა სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობას.

პერსონალის მართვის პოლიტიკის ნაწილში დადასტურდა, რომ კოლეჯში მოქმედი პროცესები მიმდინარეობს შრომის კანონმდებლობის, შინაგანაწესისა და სპეციალური დებულების საფუძველზე. შრომითი ურთიერთობები ემყარება თანასწორობის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებს, ხოლო თანამშრომლები ხელშეკრულებებზე ხელმოწერით ადასტურებენ შინაგანაწესის გაცნობას. კადრების შერჩევა ხორციელდება დანიშნვის ან ღია კონკურსის გზით, წინასწარ განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმებით, ხოლო ვაკანსიების საჯარო პლატფორმებსა და ვებგვერდზე გამოქვეყნება უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს, რაც რეგულირდება დაწესებულების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ისინი სრულად მოიცავს კანონმდებლობითა და შიდა წესით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო დოკუმენტსა და შესაბამის ცნობას. პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის ფარგლებში დანერგულია თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც ტარდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს. შეფასების პროცესის ვადები წინასწარ არის კომუნიცირებული, ხოლო მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. შეფასების შედეგების საფუძველზე, დირექტორისა და უშუალო ხელმძღვანელის ჩართულობით, ყალიბდება ერთობლივი განვითარების გეგმები. განსაკუთრებული მიღწევების მქონე თანამშრომლებისთვის გათვალისწინებულია წახალისების სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის ფულადი ჯილდო და კარიერული ზრდა, ხოლო არადაამაკმაყოფილებელი შედეგების მართვა ხდება ეტაპობრივი სანქციებით. კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალის 2026 წლის განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება საჭიროებათა პირველად კვლევას და მოიცავს

აქტუალურ ტრენინგებს ისეთ სფეროებში, როგორცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სწავლების ინოვაციური მეთოდები, კიბერუსაფრთხოება და ავტორიზაციის სტანდარტები. აღნიშნული ტრენინგების ციკლი უკვე დაწყებულია. დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას თანაბარი პირობების შექმნისა და სპეციფიკური ტრენინგების (სწავლება და შეფასება) დაგეგმვის გზით.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. კოლეჯი ოპერირებს ქალაქ რუსთავში, შევჩენკოს ქუჩა N5-ში, სადაც 2034 წლამდე მოქმედი იჯარის ხელშეკრულებით ფლობს 190,5 კვ.მ. ფართს, რაც მინიმუმ ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფს სტაბილურ საოპერაციო გარემოს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შენობის სამივე სართულის დათვალიერებით დადასტურდა, რომ თეორიული და კომპიუტერული აუდიტორიები, ადმინისტრაციული სამუშაო სივრცეები, პირველადი დახმარების პუნქტი, სტუდენტური სივრცეები და ბიბლიოთეკა სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებსა და მისაღები სტუდენტების რაოდენობას.

კოლეჯში მოქმედებს მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი, რომელიც სტუდენტებსა და პერსონალს უსაზღვრავს ინფრასტრუქტურითა და კომპიუტერული ბაზით სარგებლობის თანაბარ და რეგულირებულ უფლებას სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორ 5.1.1.2-ს. ყველა სივრცეში ყოველდღიურად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა და დანერგილია შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, რომლებსაც ზედამხედველობს სერტიფიცირებული სპეციალისტი. სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელ მომარაგებას, შესყიდვასა და ნარჩენების უტილიზაციას კოორდინირებულად მართავს ლოჯისტიკის მენეჯერი, ხოლო ხარისხის შიდა მექანიზმები და სპეციალური კითხვარები უზრუნველყოფს ამ რესურსების რეგულარულ შეფასებას.

ინფრასტრუქტურის განლაგება და სათავსოები გამორიცხავს ერთმანეთში გამავალ ოთახებს და ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროცესებს. შენობა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. პირველ სართულზე მოწყობილია მამაკაცთა და ქალთა გამიჯნული სანიტარული კვანძები, ხოლო დამატებით ერთი კვანძი და გარე პანდუსი სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. მომხმარებლებისთვის ასევე ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული წიგნადი ფონდი და ელექტრონული რესურსები. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების კომპონენტში გამოიკვეთა ხარვეზები, რის გამოც ქვესტანდარტი 5.1.2 ნაწილობრივ შესაბამისობაში იქნა მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ შენობის კონსტრუქციული მდგრადობა დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით, სახანძრო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობების ნაწილი, კერძოდ, ფანჯრებზე არსებული გისოსები და პირველ სართულზე მეორე საევაკუაციო გასასვლელის არარსებობა, ვიზიტის პერიოდში კვლავ მოსაგვარებელი იყო. კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკი, რომლის ხანგრძლივობაც დირექტორის ბრძანებით შემცირდა 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულებას მიეცა მკაცრი რეკომენდაცია აღნიშნულ ვადაში სახანძრო უსაფრთხოების სრული დადებითი დასკვნის მოსაპოვებლად. ქვესტანდარტის სხვა ინდიკატორები – პირველადი გადაუდებელი დახმარების გამართული სივრცე, მთავრობის დადგენილებასთან თავსებადი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საგანგებო შტაბის ფუნქციონირება და ვიდეომონიტორინგით აღჭურვილი დაცვის სამსახურის მიერ წესრიგის უზრუნველყოფა.

საინფორმაციო რესურსების მიმართულებით აღინიშნა, რომ კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს 4 პერსონალურ კომპიუტერს, 28

ლექტორს, პრინტერებსა და პროექტორებს, სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მასშტაბებს. უსადენო ინტერნეტი ხელმისაწვდომია მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ინფორმაციის დაკარგვის პრევენციისთვის ტექნიკა აღჭურვილია უწყვეტი კვების წყაროებით. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, შტატში აყვანილია შესაბამისი ოფიცერი და ხორციელდება სისტემური კონტროლი. საქმისწარმოების ქვესტანდარტში გამოვლინდა მეტწილად შესაბამისობა და გაცივ რეკომენდაციები. მატერიალური საქმისწარმოება და ბრძანებების თუ კორესპონდენციის ჟურნალები კანონმდებლობის დაცვით მიმდინარეობს, თუმცა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eflow, მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულებისა, ტექნიკური მიზეზების – კერძოდ, დამოუკიდებელი ინტერნეტის ხაზის არარსებობის გამო – ჯერ არ არის ამოქმედებული. გარდა ამისა, ექსპერტთა მიერ აღმოჩნდა, რომ საქმისწარმოების შიდა წესის დარღვევით, პრაქტიკისა და იჯარის ხელშეკრულებებს ენიჭებოდა არა რიგითი ნომრები, არამედ სპეციფიკური კოდები. კოლეჯმა ეს ხარვეზები შეიტანა შესაბამისობის გეგმაში, სადაც eflow-ს ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2026 წლის 30 აგვისტო, ხოლო ხელშეკრულებების აღრიცხვის მოწესრიგების ვადად – 2026 წლის 30 აპრილი, რის გამოც ინდიკატორები 5.2.2.1 და 5.2.2.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილში დადასტურდა, რომ კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის გვერდი სრულად ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, სადაც განთავსებულია სტრატეგიული გეგმები, მარეგულირებელი წესები, პროგრამების სანდო აღწერილობა და ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც ყოველწლიურად განახლდება. ვინაიდან პროგრამები მხოლოდ ქართულ ენაზე ხორციელდება, საერთაშორისო ვებგვერდის არსებობის ვალდებულება არ იკვეთება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სისტემატურად აანალიზებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ფინანსური რესურსების კომპონენტში აღინიშნა, რომ კოლეჯი ფინანსურად მდგრადია და სრულად უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმებისა და საოპერაციო ხარჯების განხორციელებას. დაწესებულების შემოსავლის ძირითად წყაროს ამ ეტაპზე დამფუძნებლის შენატანი წარმოადგენს, თუმცა მდგრადობის გასაძლიერებლად გაფორმებულია მემორანდუმი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტთან, რომელიც ავტორიზაციის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში წლიურად 100 000 ლარის ოდენობით დაფინანსებას უზრუნველყოფს. კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას საპროგნოზო ბიუჯეტების მეშვეობით.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საექთნო განათლება**

აღნიშნული პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს, სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0913. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის N25 ბრძანებით, ხოლო მასში მიმდინარე ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 17 მარტის N6 ბრძანების საფუძველზე. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. პროგრამის განხორციელების ოფიციალურ მისამართად განსაზღვრულია ქალაქი რუსთავი, შეეჩენკოს ქუჩა N5. სწავლება ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით. დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა კოოპერაციული სწავლების ფორმის მიხედვით შეადგენს 60 ადგილს. პროგრამა არ ითვალისწინებს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს ზოგად მოდულებს. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 180 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 210 კრედიტით.

დაწესებულების გადაწყვეტილება საექთნო პროგრამის დამატების თაობაზე ეფუძნება კომპლექსურ კვლევებსა და რეგიონულ საჭიროებებს, რაც სრულად თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან – მოამზადოს ჯანდაცვის სფეროს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. შრომის ბაზრის ანალიზისას, მათ შორის სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა ექთნების მწვავე დეფიციტი ქვეყანაში, სადაც ექიმისა და ექთნის პროპორცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტს. გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულებამ იხელმძღვანელა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევებით, „საექთნო განათლების განვითარების სტრატეგიით“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N334) და აპლიკანტთა მზარდი მომართვიანობით, რაც პროგრამის გახსნის მყარ საფუძველს წარმოადგენს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურა, გარდა დოკუმენტაციის წარდგენისა, მოიცავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარებას. აღნიშნული გამჭვირვალე სისტემა უზრუნველყოფს სათანადო წინარე ცოდნისა და უნარების მქონე პირთა შერჩევას. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (60 ადგილი) განსაზღვრა ეფუძნება კოლეჯში დანერგილ სპეციალურ მეთოდოლოგიას, რომელმაც გაითვალისწინა სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობა, მასწავლებელთა რესურსი, ბიბლიოთეკის ფონდი და პარტნიორი კლინიკების კვოტები. პროგრამის შინაარსი და სახელწოდება სრულად შეესაბამება ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს, ხოლო სასწავლო გეგმა მკაცრად იცავს მოდულების წინაპირობებს, განმეორებითი შეფასებების შუალედებსა და კვირეული დატვირთვის დასაშვებ ნორმებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისას დადგინდა, რომ კოლეჯის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას 60 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილია ერთი A და ერთი AB სასწავლო გარემო, სადაც თითოეულში მოწყობილია 20 სტუდენტისა და პედაგოგის სამუშაო ადგილი, დამონტაჟებულია პროექტორები და საპროექციო დაფები. AB გარემო დამატებით აღჭურვილია 20 ლეპტოპითა და მულტიფუნქციური პრინტერით. ვინაიდან პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, პრაქტიკული და კლინიკური მოდულების განხორციელება დაგეგმილია ხუთ პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებაში, რომლებთანაც გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულებები (შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „კლინიკა რუსთავი“, სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“, სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო“ და ააიპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“). თითოეული კლინიკა ერთდროულად იღებს 20-მდე სტუდენტს, ფლობს სახელმწიფოს მიერ გაცემულ საქმიანობის ნებართვებს და უზრუნველყოფს სწავლებას პრაქტიკოსი ექთნების მიერ, სტანდარტული პროპორციით – 7 სტუდენტი 1 ინსტრუქტორზე.

ადამიანური რესურსის ანალიზით დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართულია 22 კვალიფიციური პირი (4 ზოგადი მოდულის, 2 ქართული ენის მასწავლებელი და 16 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მოქმედი ექიმი და ექთანნი). პერსონალის დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას, ხოლო მასწავლებელთა პირადი საქმეები ადასტურებს მათ დარგობრივ და შეფასებით კომპეტენციას. საექსპერტო ჯგუფმა დაწესებულებას მისცა შემდგომი განვითარების რეკომენდაცია, რათა შინაგანაწესში ან პერსონალის მართვის პოლიტიკაში მკაფიოდ განისაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი. საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური დარგის სპეციალისტი, რომელიც თავადაც ახორციელებს მოდულებს. საბიბლიოთეკო სივრცეში მატერიალური და ელექტრონული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზში, ხოლო შშმ/სსსმ პირებისთვის მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების

შემუშავების გამართული მექანიზმები. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის რენტაბელობის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 5 სტუდენტით, საპროგნოზო ბიუჯეტი კი სრულად ფარავს პერსონალის ანაზღაურებასა და სახარჯი მასალების შესყიდვას, რაც გარანტიას იძლევა პროგრამის სტაბილური ფუნქციონირებისათვის.

პროგრამის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და განვითარება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების საფუძველზე. იგი მოიცავს სტუდენტთა, მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა პერიოდულ გამოკითხვას სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხარისხის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორისთვის. სასწავლო პროცესი წარიმართება დამტკიცებული გეგმების დაცვით, სადაც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სტუდენტთა ინტერესები – სასწავლო განრიგი თანხმდება მხარეებთან, ხოლო სწავლება ეყრდნობა თანამედროვე ციფრულ სადემონსტრაციო ტექნოლოგიებსა და მეთოდებს, რაზეც პედაგოგებს გავლილი აქვთ შესაბამისი გადამზადება. ინდივიდუალური საჭიროებების მქონე პირთათვის (მათ შორის, მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის) მოქმედებს სპეციალური გეგმების შედგენის პროცედურა სასწავლო წესის მე-15 მუხლის შესაბამისად. უსაფრთხო გარემო სასწავლო ბაზაზე დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმებით, ხოლო კლინიკურ ობიექტებზე – ორმხრივი ხელშეკრულებების პირობებით.

დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. იგი დეტალურად აწესრიგებს ინსტრუმენტების შექმნის, ადმინისტრაციის, აპელაციისა და გადაბარების პროცედურებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობითა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით. ვერიფიკაციის ჯგუფი ახორციელებს საგამოცდო ინსტრუმენტების, პროცესებისა და მტკიცებულებების შემოწმებას ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების დადასტურების მატერიალური თუ ელექტრონული მტკიცებულებების სათანადო შენახვას სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში, უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო თავად შეფასების უწყისები ინახება მუდმივად.

